



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი

(№33360)

1-15

№18 (327)

(5771)

2010

შასი 50 თეთრი

„מנורה“

עיתון יהודי

בגוריה

## ღიღი საეკონომიკო ფორუმი

### რეკაზ სეფიაშვილი: საქართველოში ბევრი თვალსაჩინო სიახლეა

1-3 ოქტომბერს თბილისსა და წყალტუბოში ჩატარდა VI ეროვნული კონგრესი ალერგოლოგიასა და იმუნოლოგიაში.

კონგრესს ხელმძღვანელობდა იმუნოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი, დსთ ქვეყნების ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა კავშირის პრეზიდენტი, აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი.

კონგრესს მისალმება გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მისალმებაში ნათქვამია:

**„ვეფიქრობ, რომ ეს ფორუმი ბოლო წლების მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს სამეცნიერო ცხოვრებაში და დიდად შეუწყობს ხელს ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების პრაქტიკაში დანერგვას.“**

კიდევ ერთხელ მივესალმები ქართველ და უცხოელ მონაწილეებს და იმედს გამოვთქვამ, რომ VI საერთაშორისო კონგრესის მუშაობა პროფესიული თვალსაზრისით საინტერესოდ წარიმართება, ხოლო საქართველოს სტუმრები ჩვენს პატარა სტუმართმოყვარე ქვეყანაში დაუფინყარ შთაბეჭდილებებს მიიღებენ.

**გისურვებთ წარმატებებს და ნაყოფიერ საქმიანობას“.**

კონგრესი ორ ნაწილად ჩატარდა: თბილისში სასტუმრო „რედისონში“ და წყალტუბოში.

მასში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე აშშ-სა და სხვა ქვეყნებში მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები. თავად აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტში ისრაელის ქნესეთთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელი ფრიდონ თოდუა, თინათინ ჩიქოვანი, აშშ ალერგოლოგიის, ასთმის და იმუნოლოგიის კოლეჯის პრეზიდენტი სამი ბაჰა, იმუნოლოგიის საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი მოჰამედ დაჰა, ევროპის ალერ-

გოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვიქტორია კორდონა, საერთაშორისო ალერგოლოგთა ორგანიზაციის ბორდის ხელმძღვანელი პაულ პოტერი და სხვები.

კონგრესზე წარმოდგენილი გახლდნენ საქართველოს პარლამენტარები, სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლები. სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა.

გაზეთ „მენორასთან“ საუბარში აკადემიკოსმა რევაზ სეფიაშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა სამეცნიერო მონაპოვარს, ისაუბრა ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო კავშირების განმტკიცებაზე და დასძინა:

— საქართველოში ხშირად მიხდება ყოფნა, ამიტომ ის გარდაქმნები, რაც ბოლო წლებში ამ ქვეყანაში მიმდინარეობს, შეიძლება ითქვას, ჩემს თვალწინ მიმდინარეობს. შესამჩნევია, თუ რამდენი თვალსაჩინო სიახლეა. 2008 წლის აგვისტოს ომი რომ არ ყოფილიყო, ეს წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ მთავარია, რომ ქვეყანა სძლებს სირთულეებს და წინ მიდის.



## საქართველოს ებრაელთა ისრაელში კონგრესის შედეგით

2 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბილისის ისტორიის მუზეუმსა და ქარვასლაში ერთდროულად გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა — „არტისტერიუმი-2010“, ამგვარი გამოფენა უკვე მესამედ ეწყობა. მისი ინიციატორი გახლავთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კულტურისა და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბ-ნ ნიკა რურუას გამოფენისადმი მისალმებაში ნათქვამია: „არტისტერიუმი-2010“ მომავალზე ორიენტირებული პლატფორმაა საერთაშორისო მულტიმედიური ვიზუალური კულტურის ინოვაციური ტენდენციების წარმოსაჩენად. რაც ქართული სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა“.

გამოფენაში მონაწილეობენ ცნობილი ქართველი ებრაელი მხატვარი ალიმ რიჟინაშვილი (გერმანია) და ადრე ისრაელში, დღეს კი საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა ხელოვანი ზაზა ბაზელი (ზაზაზაშვილი).

„არტისტერიუმი-2010“ აშშ საელჩოსთან, გოეთეს ინსტიტუტთან, ევროკავშირის კულტურის პროგრამასთან, ბრიტანულ საბჭოსთან, პოლონეთის საელჩოსთან ერთად ერთ-ერთ დამფინანსებლად საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი გვევლინება, კონგრესის ლოგო მთავსებულია გამოფენისადმი მიძღვნილ კრებულსა და მოსანვევ ბარათში. ამგვარ პრესტიჟულ ღონისძიებაში მონაწილეობა კონგრესს ღირსებას მატებს.

## ა. მუხაშვილის მუხაშვილი იოხანის ჰაბიუ-მინისხითან



ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, ცნობილი მენარმე ალექსანდრე მაშკევიჩი ამანში იორდანის პრემიერ-მინისტრს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი იორდანიაში ისრაელის ინვესტორების გაძლიერების საკითხის განხილვა გახლდათ.

შეხვედრის შემდეგ ალ. მაშკევიჩმა აზრთა ურთიერთგაზიარებას დადებითი შეფასება მისცა და გამოსთქვა რწმენა, რომ ისრაელის ინვესტიციები იორდანიაში ამ სახელმწიფოებს შორის კარგი ურთიერთობის მაჩვენებელია.

## ვიქტორ იანუკოვიჩი ბაბი იარის მემორიალურ კომპლექსში

29 სექტემბერს უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა პატივი მიაგო ბაბი იარის მსხვერპლთა ხსოვნას. როგორც ცნობილია, 1941 წლის სექტემბრის ბოლოს გერმანელმა ფაშისტებმა კიევის გარეუბანში, ბაბი იარში მრავალი ათასი ებრაელი დახვრიტეს.

ვიქტორ იანუკოვიჩმა ბაბი იარის მემორიალურ კომპლექსში გვირგვინი მიიტანა. მასთან ერთად იმყოფებოდნენ უკრაინის მთავრობის წევრები, პარლამენტარები.





# חדשות ישראל ისრაელის ახება



## ისრაელში დემოგრაფიული გადაბრიალება გრძელდება და ძალასაც იხრებს

### იაკობ შაიტელსონი

ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემები, რომელიც 2010 წლის აგვისტოს ყოველთვიურ სტატისტიკურ ბიულეტენში და სტატისტიკურ ყოველწლიურში (№61) გამოქვეყნდა აჩვენებს, რომ ისრაელში დემოგრაფიული გადაბრიალება გრძელდება და ახალ ძალებსაც იკრებს.

#### შობააღობა

2009 წელს, ახალი რეპატრიანტების გათვალისწინებით, რომელთა რელიგიური კუთვნილება არ არის გარკვეული, ისრაელში 121,243 ებრაელი ბავშვი დაიბადა. მათგან 116,559 ჰალახური ებრაელია, ეს კი 27%-ით მეტია, ვიდრე 2000 წლის მონაცემები(91,936).

ამავე პერიოდში დაბადებული ისრაელელი მუსლიმი ბავშვების რიცხვი შემცირდა 1,4% 35,740 — ბავშვი 2000 წელს, 35,253 ბავშვი — 2009 წელს. სულ 2009 წელს არაბულ სექტორში 39,799 ბავშვი დაიბადა, რაც 2,5% ნაკლებია 40,831-თან შედარებით, რომლებიც 2000 წელს გაჩნდნენ.

თუ 2000 წელს ყოველ დაბადებულ მუსლიმ ბავშვზე 2,4 ებრაელი ბავშვი იყო, 2009 წელს ეს ციფრი უკვე 3,3 გახდა, რაც 37% მეტია.

#### დაწყებითი სკოლების

##### პირველი კლასის მოსწავლეები

მთლიანად ისრაელის ებრაულ სკოლებში პირველ კლასელთა რიცხვი, რომელიც 71,5% (2008/09წ.) შეადგენდა, 72,5% (2009/10წ.) გაიზარდა. არაბებსა და ებრაელებში შობადობის მაჩვენებლები მკვეთრად მიუთითებენ ისრაელის საგანმანათლებლო სისტემაში ებრაელთა რიცხვის ზრდის ტენდენციისაკენ.

2009 წელს დაბადებულთა მონაცემთა თანახმად აშკარაა, რომ 2015 წელს ისრაელში პირველ კლასელთა რიცხვი არანაკლებ 75,3% მიაღწევს. თუკი შობადობის მონაცემთა დამატებით ალიის გაგრძელებას გავითვალისწინებთ, მაშინ ისრაელში ებრაელ პირველ კლასელ მოსწავლეთა რიცხვი

კიდევ უფრო გაიზარდება.

ისრაელში დაწყებით სკოლებში ებრაელ მოსწავლეთა დინამიკის ზრდა უკვე 2009/10 სასწავლო წლებშია ნათელი. დაწყებითი განათლების სისტემაში ებრაელ მოსწავლეთა რიცხვი 619,181-დან (2008/09წ.) 633,640 (2009/10წ.) გაიზარდა 2003 წლიდან 2009 წლის ჩათვლით. ასაკობრივი ჯგუფების მონაცემებზე დაყრდნობით ებრაელ მოსწავლეთა რიცხვი 2015 წლისთვის 73,4% გაიზარდება.

საინტერესო მოვლენა მოხდა თავად ებრაულ დაწყებით საგანმანათლებლო სისტემაში: თავდაპირველად, 1998/99 წლებში, როდესაც ისრაელის ცენტრალურმა სტატისტიკურმა ბიურომ თალმუდ თორის სისტემის მოსწავლეთა მონაცემები საერთო დაწყებითი განათლების მონაცემებში არაერთი ულტრა-ორთოდოქსების სისტემაში პირველ კლასელთა რიცხვი 25%-დან (2008/09წ.) 24,7%-მდე (2009/10წ.) სასწავლო წლებში შემცირდა. იმავე დროს გაიზარდა სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში ჩარიცხულთა რიცხვი 55,6%-დან (2008/09წ.) 55,7%-ით (2009/10წ.) სასწავლო წლებში. სახელმწიფო რელიგიურ საგანმანათლებლო სისტემაში მოსწავლეთა რიცხვი ასევე გაიზარდა 19,4%-დან (2008/09წ.) 19,6%-ით (2009/10წ.).

#### შობააღობის ჯამური კოეფიციენტი

ბოლო ათწლეულების მანძილზე ებრაელთა შობადობის კოეფიციენტი 10,2%-დან — თითოეულ ქალზე 2,63 ბავშვით გაიზარდა 1998 წელს 2,90-ით 2009 წელს. იმავე დროს შობადობის ჯამური კოეფიციენტი არაბეთში 20,5%-დან 4,4 1998 წელს თითოეულ ქალზე 3,5 ბავშვით 2009 წელს შემცირდა.

თუ 1998 წელს შობადობის ჯამური კოეფიციენტი უფრო მეტი იყო, ვიდრე ებრაელების თითოეულ ქალზე — 1,77 ბავშვით, 2009 წელს შობადობის ჯამური სხვაობა არაბებსა და ებრაელებს შორის უკვე მხოლოდ 0,6-ია.

ამ ტენდენციის გაგრძელებით შესაძლოა არაბებისა და ებრაელების შობადობის ჯამურმა კოეფიციენტმა თანაბარ შედეგს მიაღწიოს.

#### შობააღობის ჯამური კოეფიციენტი სამხრეთ ოლქში

ბედუინთა შორის შობადობის ჯამური კოეფიციენტი ისრაელის სამხრეთში სულ რაღაც ერთი ათწლეულის მანძილზე 43%-ით შემცირდა, 10.06-დან (1998წ.) 5,73-ით (2009) თანაც ბოლო 6 წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი თითქმის 36%-ით დაეცა.

ამ ტენდენციის გაგრძელებამ ბედუინთა შორის-ნეგევში, 21-ე საუკუნის ოცნანი წლებისთვის შესაძლოა შობადობის ჯამური კოეფიციენტი თითოეული ქალზე - 2,3 ბავშვით შეამციროს.

#### იერუსალიმის ოლქში მცხოვრებთა შობააღობის ჯამური კოეფიციენტი

2000 წელს იერუსალიმის ოლქში მცხოვრები ებრაელების შობადობის ჯამური კოეფიციენტი 3,79-ს უდრიდა, მაშინ როდესაც არაბებში იგი 4,43 იყო. 2009 წელს ებრაელთა შობადობის ჯამური კოეფიციენტი 4,16 უდრიდა, ე.ი. 7,5% მეტს, ვიდრე არაბებში (3.87).

ერთი ათწლეულის მანძილზე იერუსალიმის ოლქში მცხოვრებ ებრაელთა შობადობის ჯამურმა კოეფიციენტმა 10% იმატა, არაბებში კი - 13% შემცირდა.

#### შობააღობის ჯამური კოეფიციენტი იუდეასა და სამარიაში

პალესტინის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემთა თანახმად, იუდეასა და სამარიაში მცხოვრები არაბთა შობადობის ჯამური კოეფიციენტი 3,12-ს უდრიდა — 24%-ით ნაკლებს 1999 წლის პალესტინის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემებთან შედარებით, სადაც ეს მაჩვენებელი თითოეულ ქალზე 4,1 ბავშვი იყო.

არაბთა შობადობის ჯამური კოეფიციენტი იუდეასა და სამარიაში 11%-ით მცირე იყო, ვიდრე ისრაელის მოქალაქე არაბების მაჩვენებელი — თითოეულ ქალზე — 3,5 ბავშვი.

იუდეასა და სამარიაში ებრაული დასახლებების მცხოვრებთა შობადობის ჯამური კოეფიციენტი თითოეულ ქალზე — 5,06 ბავშვია, ანუ მათ არაბ მეზობლებზე 62%-ით მეტი.



### აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო გზით სიტუაციის რეგულირებას ხელს „რუსი ემიგრანტები“ და ახალმოსახლეები უშლიან, რომლებიც მრავლად არიან ჯარშიც. „რუსებს“ არ ესმით „ისტორიული კონტექსტი?“

ნააღმდეგება მიწის გაყოფას... ეს — სხვა ისრაელია. ისრაელელების 16% რუსულად საუბრობს, — განაცხადა აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა.

„ისინი იქ სულ ცოტა ხნის წინ ჩამოვიდნენ, ეს მათი ქვეყანაა, მათ ამ ქვეყანას დაუკავშირეს თავიანთი მომავალი. ისინი ვერ ხედავენ ვერანაირ ისტორიულ თუ პოლიტიკურ მიზეზს, რომელიც შეძლებდა ტერიტორიული დაყოფის გამართლებას,“ — აღნიშნა კლინტონმა, თანაც ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერს 2000 წელს კემპდევიდში, ნათან შარანსკისთან საუბრისას მიხვდა. „მან თქვა, რომ ჩამოვიდა მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყნიდან ყველაზე პატარა ქვეყანაში და არ აპირებს ვინმეს მისცეს მისი დანაწილების უფლება. თანაც შარანსკი საკმაოდ თავაზიანი გახლდათ თავისი მოსაზრების გამოთქმისას. იმ დროს, როდესაც ბევრი „რუსი“ ბევრად უფრო „მკაცრად გამოხატავს თავის აზრს“. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მეტი მშვიდობისმოყვარეები, მისი „რეიტინგის“ თანახმად, ისრაელის მკვიდრნი არიან, რომლებსაც „ესმით ისტორიული კონტექსტი.“

#### შამალოვა-ბერკოვიჩმა კლინტონს პენსიაზე მშვიდი ცხოვრება ურჩია

არ შემიძლია მივიღო აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ის ტონი და პათოსი, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ შინაარსიდან გამომდინარე, მან სიმართლე თქვა, — განაცხადა ქნესეთის დეპუტატმა იულია შამალოვა-ბერკოვიჩმა („კადმია“) აშშ-ს ექსპრეზიდენტის ბილ კლინტონის განცხადების „რუსი“ რეპატრიანტების „პოლიტიკურ ექსტრემიზმზე“ რე-

აგირებისას. „დიახ, რეპატრიანტებს ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ჰქონდათ და ახლაც აქვთ ისრაელის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა. დიახ, მათ უმრავლესობას არ აწყობს ის უიმედო „სამშვიდობო პროცესი“, რომელსაც ჩვენთვის „აცხობენ“ თეთრი სახლის სამზარეულოში. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყოფილ სსრკ-ს რეპატრიანტებს არ სურთ მშვიდობა. პირიქით, მათ ძალიან უნდათ მშვიდობა სწორედ იმიტომ, რომ ისინი ჩამოვიდნენ ქვეყნიდან, სადაც „მშვიდობის“ განმარტება ძალიან კარგად ესმით.

მშვიდობა ძლიერი ხელით უნდა იქმნებოდეს და საჭიროა მონინალმდეგე მხარისგან ურყევი გარანტიების მიღწევა. ასეთია, ჩემი აზრით, „რუსი“ ისრაელელი უმრავლესობის პოზიცია. და მე ამაში ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ, ისევე როგორც ვერ ვხედავ ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესზე ასეთი პოზიციის უარყოფით ზემოქმედებას, — განაცხადა შამალოვა — ბერკოვიჩმა.

„სინამდვილეში ისრაელის ყოფილმა პარტნიორმა და მოკავშირემ განაცხადა, რომ ისრაელი პალესტინის ურთიერთობების დარეგულირებას ხელს ალია უშლის. ან, სხვა სიტყვებით სიონისტურ სახელმწიფოს ხელს უშლის... სიონიზმი“, აღნიშნა დეპუტატმა და აშშ-ს ექსპრეზიდენტს ურჩია „მშვიდად იცხოვროს პენსიაზე და ნუ ჩაერევა ჩვენს საშინაო პოლიტიკაში“.

ამერიკული The Foreign Policy იტყობინება, რომ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი ისრაელის რუსულენოვან მოსახლეობას ყველაზე ნაკლებად დაინტერესებულად თვლის ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში. ამის შესახებ მან ნიუ-იორკში Clinton Global Initiative-ის კონფერენციაზე, „მრგვალი მაგიდის“ მსვლელობის დროს განაცხადა.

ყოფილი პრეზიდენტის თქმით, საუბარია „ძალიან რთულ პრობლემაზე“. „სულ უფრო მეტი რუსულენოვანი რეპატრიანტისა და ახალმოსახლეების შვილები მსახურობენ ისრაელის ჯარში. ეს ადამიანები გახლავან ის ძირითადი ძალა, რომელიც ენი-

# გაბაის არჩევნების დასასრული...

— ბ-ნო ფირუზ, რამ განაპირობა გაბაის არჩევნების ჩატარება, რომლის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებოდით?

— როგორც ყოველთვის, არჩევნების ჩატარება იდეას ახლავს როგორც მოგეხსენებათ კომისიის შემადგენლობის შერჩევა, მათი დაკომპლექტება. კომისია 7 ადამიანისაგან შედგებოდა. მე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გახლდით, კომისიის მდივანი — რაფაელ ათაბეგოვი, ხოლო კომისიის დანარჩენი ხუთი წევრი: ნუგზარ აჯიაშვილი, რაფაელ მესენგიერი, მერაბ მესენგიერი, მერაბ ჩანჩალაშვილი. კომისიის წევრები ჯამაათის მიერ შერჩა, არავითარი პრეტენზია არ ყოფილა კომისიის შემადგენლობის მიმართ. კომისიას არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დაკომპლექტდა. ამ ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საარჩევნო კომისიის წინა მოსამზადებელი სამუშაოები. დაისახა გეგმა, რომლის მიხედვითაც ვმუშაობდით.

შემოვიდა ოთხი კანდიდატის განცხადება. კანდიდატების შერჩევა ხდებოდა, როგორც საინიციატივო ჯგუფებით, ისე პირადი განცხადებების მიხედვით. ჯამაათის ამა თუ იმ წევრს შეეძლო წარედგინა საკუთარი კანდიდატურა.

რაც შეეხება იმას, თუ რამ განაპირობა ზოგადად ეს არჩევნები, ვთვლი, რომ ყველაფერს აქვს თავისი ვადები. თუნდაც პრეზიდენტის, პარლამენტის, თვითმმართველობის არჩევნებს და ა.შ. ყველაფერს აქვს თავისი წესი და რაც მთავარია, ვადა, თუ რამდენ ხანს შეიძლება ესა თუ ის პიროვნება იყოს დაკავებული თანამდებობაზე.

მე ეს ინიციატივა ადრე გამოვთქვი, როდესაც ჩემი აზრით, გამგეობის თავმჯდომარემ აღნიშნულ პოსტზე ყოფნის ვადას გადააჭარბა. არჩევნების ჩატარების ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ თუნდაც რაიმე დღესასწაულზე შეკრებილ ებრაელთა ისედაც მცირე ციფრი, დაახლოებით 500-მდე ადამიანი, ასე ვთქვათ, ჯგუფებად იყო დაყოფილი. თითოეულ მათგანს პრეტენზია, გასაჭირიც კი ჰქონდა, თუმცა, მათ პრობლემებს ყურადღებას არავინ აქცევდა. სამწუხაროდ, სინაგოგაში ერთპიროვნული მმართველობა იყო. პარლამენტის წევრობამდე სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე გახლდით და საარჩევნო დოკუმენტაციასთან შეხება მქონდა, სიმართლე გითხრათ რამდენჯერმე წავანყდი ფაქტს, რომ არანაირი დოკუმენტის შექმნის პირობაც კი არ არსებობდა ამჟამად უკვე ყოფილი გაბაის მმართველობაში.

მართალია ეს არ არის სახელმწიფო ორგანიზაცია, არც არასამთავრობოა, თუმცა, ვთვლი, რომ დოკუმენტაცია ყველაფერზე უნდა იყოს შექმნილი.

— როგორ დახასიათებთ მისცემდით ჩატარებულ არჩევნებს?

— მე, როგორც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნამდვილად ვერ მივცემ თავს უფლებას შევაფასო არჩევნების ხარისხი, მაგრამ ვთვლი, რომ ეს იყო ნორმალური, დემოკრატიული, გამჭვირვალე არჩევნები, რომელიც პირველად ჩატარდა თბილისის ბევრ ქვეყანაში.

წინა გამგეობის არჩევნის დროს, მახსოვს ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იქ ღია კენჭისყრა გახლდათ. რაც შეეხება ახლანდელ არჩევნებს, ის ფარული ხმის მიცემის სისტემით ჩატარდა, საარჩევნო პროცესში ამომრჩევლები კომფორტულად გრძნობდნენ თავს. ჩვენ დაგვჭედეთ 500 ცალი ბიულეტენი, რომელსაც დამცავი მექანიზმიც ახლდა. გავაკეთეთ საარჩევნო კომისიის ბეჭედი.

არჩევნები მშვიდ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩატარდა, ამომრჩევლები მოდიოდნენ, ხმას აძლევდნენ თავიანთ კანდიდატებს და ელოდნენ შედეგებს.

შედეგა შემაჯამებელი ოქმი. ასეთი რამ პირვე-



„მენორა“ უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ სექტემბერში ჩატარდა თბილისის დიდი ბევრ ქვეყნის გაბაის არჩევნები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევხვდით ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, ამჟამად ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრს, სალოცავში შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ფირუზ უოჩობაშვილს და გავსაუბრეთ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. ეს საუბარი აუცილებლად მივიჩნიეთ, რადგან ბევრ ქვეყანაში პირველად ჩატარდა თანამედროვეობის მოთხოვნებით გათვალისწინებული არჩევნები.

ლად გაკეთდა. სალამოს 7 საათზე კი ჩვენ გამოვაცხადეთ არჩევნების შედეგები.

პირადად მე კმაყოფილი ვარ საარჩევნო კომისიის მუშაობით. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, ახლა კი გამარჯვებული კანდიდატის დროა. მას წინ აქვს მუშაობის 3 წელი, თუმცა, კომისიამ დაიტოვა იმის უფლება, რომ თუ ჯამაათი ახალ მმართველობას გამოუცხადებს პრეტენზიას, დავნიშნავთ ვადამდელ არჩევნებს.

— წარმოადგინეს თუ არა გაბაიის კანდიდატებმა თავიანთი პროგრამა და თუ შეიძლება გავაცნოთ იგი მკითხველს?

— 14 სექტემბერს ჩვენ შევწყვიტეთ განცხადებების მიღება. მოგეხსენებათ, იყო ოთხი კანდიდატი: სოსო აჯიაშვილი, მალხაზ ნანიკაშვილი, დავით კვესოშვილი და თამაზ გორელაშვილი. 14 რიცხვშივე მალხაზ ნანიკაშვილმა მოხსნა თავისი კანდიდატურა ოჯახური მდგომარეობის გამო, მას მამა ჰყავს ავად. დანარჩენ სამ კანდიდატს გამოუვცხადეთ, რომ მათ ჰქონდათ 5 დღე, რომლის პერიოდში შეეძლოთ თავიანთი სამოქმედო გეგმა ამომრჩევლებისთვის გაეცნოთ. ასეც მოხდა, კანდიდატები შეხვდნენ ამომრჩევლებს, გაესაუბრნენ მათ და წარმოადგინეს სამუშაო გეგმა.

რაც შეეხება პროგრამის წარდგენას, მას მერე, რაც გაბაი თავის ფართო სამოქმედო გეგმას წარმოადგენს, იგი დაკანონდება და აუცილებლად გამოქვეყნდება. დამატებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, გამგეობა განიხილავს ყველა საკითხს და შემდეგ გამგეობის თავმჯდომარეს უკვე ექნება საშუალება შეიტანოს აღნიშნული საკითხები სამოქმედო გეგმაში.

ვიმედოვნებ, რომ ახლადარჩეული გაბაი შეძლებს ყველა დასახული მიზნის შესრულებას. მე მოვუწოდებ ახალ ხელმძღვანელობას, რომ გამგეობის წევრებად კომპეტენტური პიროვნებები შეირჩეს, რადგან ეს გამგეობა არის ბევრ ქვეყნის მმართველობის ორგანო.

— როგორ დახასიათებდით გაბაიის კანდიდატებს?

— შევეცდები თითოეულ მათგანზე მოკლედ მოგახსენოთ. დავინყებ მალხაზ ნანიკაშვილისგან, რომელიც ძალიან განათლებული პიროვნებაა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია

თუ არ ვცდები, ფლობს რამდენიმე უცხო ენას. „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორიც იყო თავის დროზე და საკმაოდ გათვითცნობიერებულია ებრაულ საკითხებში.

სოსო აჯიაშვილი თორის ძალიან დიდი მცოდნე გახლავთ. იგი საკმაოდ ნაკითხი პიროვნებაა, რაშიც მე არაერთხელ დავრწმუნდი მასთან შეხვედრების დროს. მის გარშემო ყოველთვის საინტერესო წიგნებს წააწყდებით.

სამწუხაროდ, არ ვიცნობ დავით კვესოშვილს და ამიტომ მიჭირს მისი დახასიათება. რაც შეეხება თამაზ გორელაშვილს, ვერ გეტყვით რომ მისი განვლილი გზის შესახებ ბევრი რამ ვიცი, თუმცა, არის ერთი ისეთი რამ, რისთვისაც შემიძლია ეს პიროვნება შევაფასო. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მან ისეთი შვილი გაზარდა, რომელიც საამაყო როგორც საქართველოსთვის, ასევე ისრაელისთვის. მისი ვაჟი — ლევან გორელაშვილი უკვე მისი ცხოვრების და ოჯახის სახე გახლავთ. პირველ რიგში ამაზე მეტყველებს მისი აღზრდა, ზრდილობა, ერუდიცია და ა.შ. სოსო აჯიაშვილისგან და მალხაზ ნანიკაშვილისგან განსხვავებით, პირადი შეხება არ მქონია თამაზ გორელაშვილთან, თუმცა, ამ პიროვნებაზე აზრის ჩამოყალიბებაში, როგორც მოგახსენეთ, მისი შვილი დამეხმარა.

— ბ-ნო ფირუზ, როგორი იყო არჩევნებზე ჯამაათის აქტივობა?

— ჩვენ წინა პერიოდშივე გამოვაცხადეთ, რომ 19 სექტემბერს გაიმართებოდა გაბაის არჩევნები და მოვუწოდებთ ყველას მოსულიყო და დაეფიქსირებინა თავისი არჩევანი.

არჩევნებზე 147 ამომრჩეველი მოვიდა. ამომრჩეველი პირადობის მონმობით ფიქსირდებოდა. ჩვენ გვაქვს აგრეთვე არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სია. აქედან გამომდინარე, თუ რომელიმე პიროვნებამ გამოთქვა პრეტენზია თამაზ გორელაშვილის წინააღმდეგ, ჩვენ ვადავამონებთ ილებდა თუ არა ეს ადამიანი არჩევნებში მონაწილეობას და მისი არალმორჩენის შემთხვევაში მისი პრეტენზია, ასე ვთქვათ, ფუჭი იქნება.

— როგორი პროცენტული სხვაობა იყო შედეგებში?

— საკმაოდ დიდი: 122 ხმა მიიღო თამაზ გორელაშვილმა, 25 ხმა სოსო აჯიაშვილმა და 18 ხმა დავით კვესოშვილმა. კანდიდატებს ჰქონდათ 2 დღე საჩივრის შემოტანისათვის, თუ ასეთი გადანყვეტილებას მიიღებდნენ. თუმცა, ასეთი რამ არ მომხდარა და თამაზ გორელაშვილის გამარჯვების მიმართ პრეტენზია არავის გამოუთქვამს.

მინდა მადლობა გადავუხადო კომისიის თითოეულ წევრს მათი მუშაობისთვის, აქტიური თანადგომისთვის.

პირადად ჩემი აზრია, რომ არჩევნები საკმაოდ კარგად და წარმატებულად ჩატარდა. ღმერთმა ქნას, რომ ახლადდარჩეულმა გაბაიმ შეძლოს უკეთესობისკენ საქმეების წარმართვა და იმ ჯამაათის რალაცნაირად გაერთიანება, რომელიც ბოლო პერიოდში დაჯგუფებებად უფროა ქცეული. გამგეობაში არ არსებობდა დოკუმენტაცია, არ იყო გამჭვირვალობა, არ კეთდებოდა საანგარიშო მოხსენებები და ბევრი სხვა. მე ნამდვილად არ მაქვს პირადი ანტიპათია ბ-ნი შალვა ქოსაშვილის მიმართ, პირიქით, ვიცნობ და ვაფასებ მის ოჯახს, თუმცა, მისი მუშაობის სტილში ჩემთვის ბევრი რამ მიუღებელი იყო.

— რას უსურვებთ ახლადარჩეულ გაბაის?

— მინდა მთელი გულით ვუსურვო მას წარმატებები, მწადია ბევრი გამჭვირვალობა ჰქონდეს ნებისმიერ წამოწყებულ საქმეში. იმედი მაქვს, ის აუცილებლად შეუსრულებს ჯამაათს დაპირებულ საქმეებს.

ღმერთმა გაუმარჯოს ყველა კარგ წამოწყებაში!

მრთაშადა ლილია ხომენკო

ქართული ეზრათლოვა შინ და გარეთ

სახელოსვეტი მასნიხები თბილისში

23 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რექტორის თაოსნობით გაიმართა უცხოეთში მოღვაწე ქართულენოვან პროფესორებთან შეხვედრა. ესენი გახლდნენ მეცნიერები: ბ-ნი შალვა მარდი (შვეიცარია) და ბ-ნი მერაბ სარელი (ისრაელაშვილი) ისრაელიდან.

თსსუ-ს ერთ-ერთ დარბაზში პროფესორებთან შესახვედრად და მათი ლექციების მოსასმენად, სამედიცინო სფეროში არაერთმა წამყვანმა სპეციალისტმა მოიყარა თავი, რაღა თქმა უნდა, აქ იყვნენ თსსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ის ადამიანები, რომლებსაც უბრალოდ გაგონილი ჰქონდათ ამ ცნობილი მეცნიერების სახელები.



პროფესორი მერაბ სარელი (ისრაელაშვილი)

თითოეულ პროფესორს საშუალება ჰქონდა აუდიტორიის წინაშე წარედგინა საკუთარი თავი და ესაუბრა მედიცინაში საკუთარი მიღწევების შესახებ.

ჩვენ გაიბობო, თუ რა თემებს შეეხნენ მონვეული პროფესორები და წარმოგიდგინთ ჩვენს საუბარს მათთან.

პირველი გამომსვლელი გახლდათ ბ-ნი შალვა მარდი, გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე, რომელსაც ძალიან დიდი ღვაწლი აქვს პათოლოგიური ანატომიის განვითარებაში. იგი ბ-ნი ვლადიმერ ჟღენტის მოწაფე გახლდათ. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ონკოლოგიის განვითარებაში. იგი მოღვაწეობდა მოსკოვშიც, სამედიცინო აკადემიაში, სადაც დაიცვა დისერტაცია და შექმნა პრომების ნაწილი. ამჟამად ბ-ნი შალვა შვეიცარიაში მოღვაწეობს. აქვს უდიდესი გამოცდილება სხვადასხვა სასწავლებლებში აქტიურად ატარებს საინტერესო ლექციებს. ბ-ნმა შალვამ წაიკითხა ლექცია ონკოლოგიის შესახებ, კონკრეტულად კი კანის კიბოს მკურნალობის თაობაზე. ბოლო პერიოდში იგი წერს წიგნებს, მონოგრაფიებს. შალვა მარდი ასევე გახლავთ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე.

**პროფესორი შალვა მარდი:**  
— პირველ რიგში უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო რექტორატს, რომელმაც მომიწვია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თითოეულ აქ მყოფს იმისათვის, რომ დამაფასა და მობრძანდა.

მე მიწვევს მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ ლაბორატორიაში მუშაობა, მოგეხსენებათ ასევე ვითხოვლობ ლექციებს.

ჩვენ შევექმენით დაახლოებით 27 ახალი პატენტი, აქედან 7 რეალიზებულია და კომერციული, დანარჩენი ამჟამად დაპატენტების პროცესშია. ყველაფერს კი რასაც ვაკეთებ, ვაკეთებ საქართველოს სახელით. მოგეხსენებათ, მე საქართველოში, კერძოდ კი — სვანეთში დავიბადე. შვეიცარიაში შეძენილი, ასე ვთქვათ, აგარაკიც სწორედ ჩემს სოფელთან მსგავსების გამო შევიძინე. იგი იმ ადგილს მაგონებს, სადაც მე დავიბადე. მისი ინტერიერიც შეძლებისდაგვარად ქართულადაა შერჩეული.

მე ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების სამეცნიერო აკადემიის წამდელი წევრი გახლავართ. ტრავახში არ ჩამომართვათ, თუმცა, კარგი კლინიცისტი და ექიმი ვარ და სწორედ ამას ვთვლი სამედიცინო სფეროში ჩემი წარმატების ერთ-ერთ სანინდარად. სწორედ ჩემმა გამოცდილებამ მო-

ცა იმის საშუალება, რომ მემუშავნა და შემექმნა ეფექტური პრეპარატები.

პრეპარატი, რომელზეც დღეს მე ვისაუბრებ, ითვალისწინებს არა მარტო გარეგანი სიმსივნეების მკურნალობას, მელანომების, კიბოს, ვირუსოვანი დაავადებების და სხვადასხვა კეთილთვისებიანი თუ ავთვისებიანი სიმსივნეების ჩათვლით, არამედ შინაგანი კიბოს მკურნალობასაც. გარეგანი სიმსივნეების მკურნალობა მე ფაქტიურად რეალიზებული მაქვს. ჩემს კლინიკაში ისრაელში ასობით პაციენტი მიგვიღია, რაღა თქმა უნდა, ყველა ჩვენი წარმატება უდიდესი, დაულალავი შრომის ნაყოფი გახლავთ. არაერთი მონვევა მივიღეთ, სხვადასხვა ქვეყნის კლინიკებიდან, თუმცა, საბოლოოდ შვეიცარიაში დავბინავდით.

ჩემთან თანამშრომლობენ მსოფლიოს ცნობილი იმუნოლოგები, ლერძოვანი უჯრედების სპეციალისტები, მათთან ერთად მე შევძლებ ამ პრობლემატური და გავრცელებული საკითხის წარმატებულად გადაჭრას. სამწუხაროდ, მსოფლიოში მოსახლეობის 40% დაავადებულია სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადებებით, რომლის 30% ფატალური შედეგით სრულდება. მოგეხსენებათ, თუ როდენ მძიმეა ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მდგომარეობა, თუ როგორ იტანჯებიან ისინი.

დღეს მე წარმოგიდგინთ წამალს, რომელიც სწორედ ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის, კერძოდ კი კანის კიბოთი დაავადებულთათვის არის განკუთვნილი. თქვენ თავადაც გექნებათ საშუალება თვალყური მიადევნოთ ამ პრეპარატის მოქმედებას. ამ პრეპარატს „მარდი“ ვუწოდებ. ჩემი სურვილია ვითანამშრომლო ქართულ ონკოლოგიურ განყოფილებასთან, გაუზიარო და შევთავაზო მას მკურნალობის ახალი ვარიანტები და შეძლებისდაგვარად, ყველანაირად მხარში ამოვუდგე და დავეხმარო ამ სფეროში, რადგან როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, უპირველეს ყოვლისა, მე ქართველი ვარ, მიყვარს ეს მიწა-წყალი და მსურს გამოვადგე მას.

ფოტოკოლაჟის მეშვეობით დამსწრე საზოგადოების წინაშე, წარმოგიდგინო იქნა ბ-ნი შალვა მარდის ზემოთ ხსენებული პრეპარატი, რომლის საშუალებითაც კანის კიბოთი დაავადებული პაციენტები სწრაფად და ეფექტურად იკურნებიან ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე. მხოლოდ ამ მალამოს წასმისა საჭირო ადგილზე და შედეგი თავად ამბობს ყველაფერს.

შემდეგი აუდიტორიის წინაშე ბ-ნი მიხაელ მიხაელი (მიხელაშვილი) წარსდგა. ბ-ნი მიხაელი 20 წლის მანძილზე ისრაელში ცხოვრობდა, ბოლო ორი წელია, რაც საქართველოში გადმოვიდა. ურთიერთობა აქვს თბილისის საავიაციო ქარხანასთან. მისი ინიციატივით საავიაციო ქარხანაში 25 თვითმფრინავის — სახელწოდებით „სკორპიონის“-ს მოდერნიზაცია გაკეთდა, რომელიც ისრაელის კომპანიასთან თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი.

ბ-ნმა მიხაელმა წარმოადგინა დღეს არსებული რეტრაქტორებისაგან განსხვავებული რეტრაქტორი, რომელიც გამიზნულია თავის ტვინის ღრმა სიმსივნეებისა და გემატომის სამკურნალოდ და ამ სიმსივნეების ამოსაკვეთად.

ნაჩვენები იყო ვიდუო კოლაჟი, რომელზეც აღიბეჭდა ებრაელი პროფესორების მიერ მოცემული აპარატის საშუალებით გვამზე ჩატარებული ოპერაცია.

**პროფესორი ბ-ნი მერაბ სარელი (მერაბ ისრაელაშვილი):**

— მე მერაბ ისრაელაშვილი გახლავართ, რომელსაც ისრაელის სამედიცინო საზოგადოება მერაბ სარელის სახელით იცნობს. დავიბადე და გავიზარდე თბილისში. სამეცნიერო, სამკურნალო და პედაგოგიური გზა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გავიარე. ეს იყო გზა კათედრის ასისტენტიდან დოცენტამდე, დოცენტიდან პროფესორამდე და პროფესორიდან ონკოლოგიის განყოფილების გამგემდე. დღეს ვმოღვაწეობ ისრაელის ერთ-ერთ უდიდეს სამედიცინო ცენტრში, რომელსაც „შივას“ სახელობის

სამედიცინო ცენტრს უწოდებენ, სადაც ონკოქირურგიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი გახლავართ. ვარ 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის პატენტების და სხვადასხვა გამოგონებების ავტორი. ისრაელში ჩემი სახელობის პარკი არის და ძალიან იშვიათია, როდესაც სიცოცხლე შევე ანიჭებენ ადამიანს ასეთ ბედნიერებას. მე ამით წამდვილად ვამაყობ. ეს პატივი მე დამდეს იმის გამო, რომ ქირურგიული ოპერაციული ჩარევა მოვახდინე მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილ მათემატიკოსზე, პროფესორ ვიქტორ ბლიუზბერგზე.

მიყვარს ჩემი საქართველო. ამჟამად მონვეული ვარ განათლების სამინისტროს ეგიდით და მონაწილეობას ვიღებდი საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმში. თსსუ-ში წავიკითხე საჩვენებელი ლექციები. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ მრავალჯერ ჩამოვალ ჩემ საქართველოში და შევეცდები, ჩემი მონაწილეობა აქ იყოს ქმედითი და სასარგებლო.

და ბოლოს საინტერესოდ და აუდიტორიისთვის სრულიად გასაგები და ამავედროულად შემეცნებითი ფორმით, ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ბ-ნმა სოსო ნანოლაშვილმა წაიკითხა ლექცია ანევრიზმისა და ვარიკოზული დაავადებების გამომწვევი მიზეზებზე, მათ თავიდან აცილებასა და მკურნალობაზე.

შეხვედრის ბოლოს ბ-ნმა **ზურაბ თურმანიძე**



პროფესორი შალვა მარდი და ბ-ნი მიხაელ მიხაელი (მიხელაშვილი)

ბ-ნი შალვა მარდს საინტერესო კითხვა დაუსვა მისი პრეპარატის ზემოქმედების თაობაზე შინაგანი ორგანოების კიბოს შემთხვევაში.

**ბ-ნი შალვა მარდი:**  
— მე ვმუშაობ შინაგანი ორგანოების კიბოს მკურნალობის საკითხზე მსოფლიოს გამოჩენილ იმუნოლოგებთან. ვთანამშრომლობთ ამერიკელ, წამდვილად ღირსეულ ონკოლოგებთან. მათთან ერთად დავაპატენტეთ ახალი პატენტი, ჩვენი პრეპარატის — „მარდის“ გამოყენება შინაგანი კიბოს მკურნალობის დარგში. პატენტი გაკეთებულია მსოფლიოს მასშტაბით და ზოგიერთ ქვეყანაში არის უკვე დანყებული ამ პრეპარატის გამოყენება. ეს პრეპარატი რუსეთში პროფესორ დავილოვთან ერთად რეგისტრაციაში გავატარეთ და 1 იანვრიდან ვინყებთ მის გამოყენებას შინაგანი კიბოს დაავადებების წინააღმდეგ.

ამის მკურნალობა შემდეგნაირად ხდება: ინექციის სახით მეტასტაზებში მცირე კონცენტრაციით შეგვყავს ჩემი პრეპარატი, ერთი კვირის განმავლობაში მეტასტაზი იწყებს შემცირებას, არის შემთხვევები, როდესაც მეტასტაზები უბრალოდ ქრება.

თავი რომ არ შეგანყინოთ ბევრი საუბრით, გეტყვით, რომ ამ პრეპარატის მუშაობა ამჟამად დაკვირვების ქვეშ არის, ამიტომ დაბეჯითებით საუბარი ამ პრეპარატის უდავო წარმატებაზე — შინაგანი კიბოს მკურნალობაზე დაახლოებით 5 წლის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

დამსწრე საზოგადოება უდავოდ კმაყოფილი დარჩა პროფესორების მიერ ჩატარებული საინტერესო ლექციებით.

**მთავრავალ ლილია ხომენკო**

# მონანიება

აღინ შტაინხალცი



რელიგიასთან. მეორეს მხრივ, იგი შეიძლება გადაითარგმნოს, როგორც „შემობრუნება“, „მოტრიალება“ — ანუ ცხოვრებაში ახალი მიმართულების არჩევა. და ბოლოს, სიტყვა „თშუვის“ მესამე მნიშვნელობაა — „პასუხი“.

მონანიების მთავარი მნიშვნელობა — ღმ-თან, ებრაულ რწმენასთან დაბრუნებაა როგორც აზრობრივად, ისე მოქმედებითაც. უმარტივეს დონეზე, სიტყვასიტყვით, დაბრუნების შესაძლებლობა მხოლოდ იმისთვის შეიძლება არსებობდეს, ვინც ადრე უკვე იყო „იქ“, — მაგალითად, მონიფული ადამიანისათვის, რომელსაც ახსოვს თავისი ბავშვობა, ბავშვობა, რომელიც ტრადიციულ ებრაულ ატმოსფეროში გაატარა. მაგრამ ნუთუ შეუძლია დაბრუნება იმას, ვინც ადრე არასოდეს ყოფილა „იქ“ და არ იცის, როგორია ცხოვრების ებრაული წესი; იმას, ვისთვისაც იუდაიზმი — არა პირადი, არამედ ისტორიული ან გენეტიკური მემკვიდრეობაა — არაფრით აღმატებული იმ განსაზღვრებაზე, რომელიც მხოლოდ, თვითონ მისთვისაც კი გაუგებარ, კუთვნილობაზე მიუთითებს. ამ კითხვაზე თამამად შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა, რამეთუ უფრო ღრმა აზრით მონანიება — ეს რაღაც უფრო ამაღლებულია, ვიდრე პირადი ცხოვრების გარემოებანი. ეს — დაბრუნებაა იუდაიზმისაკენ, მაგრამ არა მისი გარეგნული ფორმებისაკენ, არა იმ სიტუაციისაკენ, რომლის ათვისებაც ჯერ კიდევ მოუწევს ადამიანს, რათა მისი მეშვეობით გარდაქმნას თავისი ცხოვრება, — არამედ ზუსტად იმ ღვთიური ნაპერწკლისაკენ, რომელიც ებრაულ სულში ანთია. ეს — საკუთარ დასაბამ იერარქიკიზთან დაბრუნებაა, რომლის შესახებ მეხსიერებაც ყოველი ებრაელის სულში ცოცხლობს. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი შეიძლება მოწყვეტილი იყოს თავის წარსულს და მთლიანად იყოს ჩაფლული არაებრაულ კულტურაში, მისი სული სამუდამოდაა დაღდასმული ებრაელობის ბეჭდით. აქ შეიძლება მოვიტანოთ ანალოგია ბოტანიკიდან: კლიმატის შეცვლამ, სხვაგვარ ნიადაგში გადარგვამ ან სხვა ფიზიკური პირობების შექმნამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგვარი გადახრები მცენარის ფორმასა და მის ცხოველქმედებაში და სხვა მცენარეებისათვის დამახასიათებელი თვისებებიც კი მიანიჭოს მას, თუმცა მისი უნიკალური სახეობა ყოველთვის შენარჩუნებული იქნება.

თავის ჭეშმარიტ „მე“-სთან დაბრუნება შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიხატოს და არა მხოლოდ გარკვეული მსოფლმხედველობის მიღებით, ან ტრადიციით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებით. სხვისგან შეძენილი თვისებებისაგან, ანუ იმისაგან, რაც უცხოა მისი ებრაელობისათვის, ადამიანისგან თავისუფლების პროცესი ხანგრძლივია: აუცილებელია მოთმინებით გადაილახოს ცნობიერებაში ფესვგადგმული სტერეოტიპები, რომლებიც განპირობებულია იმ გარემოთი, სადაც იზრდებოდა და ცხოვრობდა იგი. და თუ ადამიანი მისთვის ახალ გზაზე ალალებდად ივლის, ნათელი მიზნის დაუსახავად, მაშინ ეს თვალდახუჭული ძიება მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების მოპოვებისაკენ სწრაფვა იქნება და მეტი არაფერი, და სულისათვის შეიძლება სატანჯველადაც იქცეს.

არ არის გამორიცხული, რომ ამ გზამ ვერასოდეს ვერ მიიყვანოს ადამიანი თავისი ჭეშმარიტი „მე“-ს გახსნისაკენ. და ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ებრაელები თორას მიიჩნევენ სიბრძნისა და ცოდნის წყაროდ, რომელიც თითოეულს მიმართულებას უჩვენებს საკუთარი თავის ძიებაში. ებრაელს, მის რელიგიასა და უზენაესს შორის ურთიერთობები იმ გარემოებით განისაზღვრება, რომ იუდაიზმი — არა მხოლოდ კანონია, პრაქტიკული რელიგიური მცნებების კრებული, არამედ აგრეთვე მთელი ცხოვრების წესიცაა, რომელიც ყოფიერების ყველა მხარეს მოიცავს.

უფრო მეტიც — ეს ერთადერთი გზაა, რომლის მეშვეობითაც ებრაელს საკუთარ თავთან დაბრუნება შეუძლია. პრინციპში, იგი შეიძლება შეეგუოს კიდევ სხვადასხვა სიტუაციას, სხვა კულტურათა სხვადასხვაგვარ მოთხოვნებსა და ქცევის ნორმებს, მაგრამ ამ დროს, აცნობიერებს იგი ამას, თუ არა, მისთვის თავისი თავის ადეკვატურად გამოხატვის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს; ამ თვითგამოხატვის ხასიათი კი განპირობებულია თვითონ ადამიანის ინდივიდუალურობით.

მონანიება მეტისმეტად რთული პროცესია. ზოგჯერ ადამიანის მთელი ცხოვრება ერთიანი განუწყვეტელი მონანიების აქტია, რომელიც ყოფიერების სხვადასხვა დონეზე ხორციელდება. თითოეულის — როგორც ცოდვილის, ისე მართლმორწმუნის, — სულიერი განვითარების გზა — ეს ყოველთვის მონანიების გზაა, წარსულის გადალახვისა და უფრო მაღალ დონეზე ასვლისაკენ მისწრაფებაა. და მაინც, ამ პროცესის მთელი სირთულისა და სიძნელის მიუხედავად, ამოსავალ წერტილში სიმარტივე და სიცხადე ძვეს: დაბრუნების დასაწყისი.

ღმ-თისაგან ჩვენი დაშორებულობა, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს და მის შემქმნელს ერთმანეთისაგან ამორებს რაიმე მანძილი ფიზიკურ სივრცეში, ეს მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ მასთან (შემოქმედთან) ურთიერთობა სულიერი ხასიათის წინააღობებითაა გაძნელებული. და არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის, ვინც არასწორ გზას ადგას, შორდება უზენაესს; უბრალოდ, მისი სული სხვა რამისკენაა მიმართული და სხვას უკავშირებს თავის თავს. მონანიებისათვის აუცილებელია თავდაპირველად სულში მოიძებნოს საყრდენი წერტილი, რაღაც შინაგანი ცენტრი, რომლის გარშემოც შემობრუნდება ცხოვრება. საჭიროა უარის თქმა იმაზე, რისკენაც ადრე მისწრაფოდა, და ყურის მიგდება საკუთარი სულისათვის, რომელსაც ღმ-თან შეერთება სურს. სწორედ ეს გარდამტეხი მომენტი მონანიების დასაწყისი.

ასეთი გარდატეხა ადამიანის მიერ ყოველთვის მაშინვე არ აღიქმება. ებრაელი ამ მომენტში აღვსებულიც რომ იყოს გულწრფელი და ღრმა მონანიების გრძნობით, გაგება იმისა, თუ რა მოხდა, შეიძლება უფრო მოგვიანებით მოვიდეს. თშუვა — ეს არა წამიერი დრამატული გაცისკროვნებაა, არამედ სულიერი პროცესია, რომელიც მთელი რიგი ეტაპებისაგან შედგება.

*გავრძელება შემდეგ ნომერში  
თარგმანი ეთერ  
თოფჩიაშვილი-ვიკინიშვილისა*

მონანიება — ერთ-ერთია იმ სულიერი ფუნდამენტური მცნებებიდან, რომლებიც საფუძვლად უდევს იუდაიზმს. მონანიება — ბევრად უფრო ღრმა და რთული გრძნობაა, ვიდრე უბრალოდ სინანული ჩადენილი ცოდვის გამო და შედგება რამოდენიმე სულიერი სუბსტანციისაგან, რომლებზეც, ჩვენი აზრით, დგას სამყარო.

უფრო მეტიც, ზოგიერთი სწავლული — ბრძენის აზრით, მონანიება ისეთ რაობათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც წინ უსწრებდნენ სამყაროს შექმნას. ამ თვალსაზრისის თანახმად აღნიშნული რაობა თვით ყოფიერების საწყისებთან ძვეს. ჯერ კიდევ მანამ სანამ ადამიანი შეიქმნებოდა, მონანიებამ წინასწარ განსაზღვრა მისი უნარი, საჭიროების შემთხვევაში შეეცვალა ცხოვრებისეული გზა.

ამ აზრით, მონანიება — იმ თავისუფალი ნების გამოხატულებაა, რომლითაც დაჯილდოებულია ადამიანი, სხვა სიტყვებით — მასში ღვთაებრივის გამოვლინებაა. მონანიების მეშვეობით ადამიანს შეუძლია თავი დააღწიოს, ამოვარდეს მოვლენათა შემოჭრები ქსელისაგან, განწყვიტოს მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი, რომელსაც მისი ჩიხში შეყვანა შეუძლია. მონანიება გულისხმობს, რომ ადამიანს ხელეწიფება გარკვეული ზომით დაიმორჩილოს, დაიქვემდებაროს საკუთარი არსებობა მის ყველა განზომილებაში, თვით დროის ჩათვლითაც, მიუხედავად იმისა, რომ დრო მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობს და შეუძლებელია უკვე მომხდარის გაუქმება ან შესწორება უკანა რიცხვით, მას შემდეგ, რაც იგი უკვე ობიექტურ ფაქტადაა ქცეული. მონანიება უფლებას გვაძლევს ავმალდეთ დროზე, საშუალებას გვაძლევს ვმართოთ წარსული, შევცვალოთ მისი მნიშვნელობა ან-მყოსა და მომავლისათვის. აი, რატომ ამბობენ, რომ მონანიება წინ უსწრებდა სამყაროს შექმნას, მისი დაუნდობელი დროის დინებით; და სამყაროში, სადაც ყველა რაობა და მოვლენა ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი თანმიმდევრობითაა დაკავშირებული, მონანიება გამონაკლისს წარმოადგენს.

სიტყვას თშუვა (თეშუბა), რომელიც ებრაულად მონანიებას ნიშნავს, სამი სხვადასხვა, თუმცა ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა გააჩნია. ერთის მხრივ, იგი ნიშნავს „დაბრუნებას“. დაბრუნებას ღმ-თან, ებრაულ

**ყოველთვიური  
საერთაშორისო  
მიმოხილვა**

**რუბრიკას უძღვება  
თეიმურ იაკოვაშვილი**



**განვითარება მხოლოდ  
მშვიდობის გზით შეიძლება**

რუსეთთან მიმართებაში. მოგეხსენებათ, ამ ეტაპზე ვინ ეწევა ჩვენი ორი რეგიონის ოკუპაციას და ეს პრობლემებია გადასაჭრელი. ამ კუთხით საინტერესოა ის, რომ ძველი დროისაგან განსხვავებით, ამ ახალ პერიოდში რუსეთი ვერ ახდენს საკუთარი სამხედრო წარმატების რეგისტრაციას დიპლომატიური გზებით. ადრე თუ რუსეთის იმპერიას საბჭოთა იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების, ასე ვთქვათ, „დაკანონება“ ხდებოდა დიპლომატიური გზებით და იყო აღმოსავლეთის ბლოკი, რომელიც საბჭოთა კავშირს ამაში მხარს უჭერდა ხოლმე, ასეთი ბლოკი დღეს არ არსებობს ანტიქართული ბლოკი, რომელშიც რუსეთი წამყვანია, გახლავთ: ნაურუ, ვენესუელა და ნიკარაგუა. რალა თქმა უნდა, დიპლომატიური თვალსაზრისით ეს არის უზარმაზარი მარცხი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ამასთან ერთად საყურადღებოა სხვა ფაქტი: თუ რას აკეთებს უშუალოდ ის ქვეყანა, რომელიც მსხვერპლია. როგორც წესი, ასეთი ქვეყანა, ნადგურდებოდა, იყო მუდმივ ნგრევაში, ამ მოვლენებიდან 2 წლის მერე თუ გადავხედავთ, სად არის საქართველო თვალშისაცემია ის, რომ საქართველო, არა მარტო არ განადგურებულა, არამედ პირიქით, ყველაფრის მიუხედავად, წინ მიდის. სამი რამ მოხდა ბოლო ორი წლის მანძილზე, პირველი — ომი რუსეთის ფედერაციასთან, ეკონომიკური კრიზისი გამოწვეული როგორც ომისაგან, ასევე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისგან, შიდა პოლიტიკური დაძაბულობა და ალბათ, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი და ხანგრძლივი გამოსვლები ქუჩაში. ნებისმიერი ასეთი კრიზისი, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას დაანგრევდა. საქართველომ წელიწადნახევარში გადალახა ყველა სირთულე, დგას ფეხზე, დღეს ჩვენ ისევ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია, მას აქვს ტერიტორიები, რომლებსაც, ჰქვია ოკუპირებული და რუსებს აღარ უნოდებენ იქ სამშვიდობოებს, ჩვენი ეკონომიკა იზრდება სწრაფი ტემპით, განსხვავებით მსოფლიოს სხვა ეკონომიკებისაგან. ჩვენ ჩავატარეთ ალბათ, ყველაზე დემოკრატიული არჩევნები, რაც კი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულა, მხედველობაში მაქვს ადგილობრივი არჩევნები. ეს არის ქვეყანა, რომელსაც გაცილებით უფრო მაღალი, ასე ვთქვათ, მდგრადობა აღმოაჩნდა, ვიდრე შესაძლოა რუსეთს თავის დროზე ჰგონებოდა. შესაბამისად მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენებოდა ამ შემთხვევაში დამპყრობლის მიმართ და იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც ეცადა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას, ის დარჩა ისევ მე-19 საუკუნეში. ახლა ცოტა ცუდი შედარება და მაგალითი უნდა მოვიყვანო: ტერორისტებმაც კი უკვე თანამედროვე მეთოდებს მიმართეს, რუსეთი კი ისევ იქ არის, რომ ვილაცას უნდა წაართვას, დაიპყროს, შეუვარდეს ტანკებით და ა.შ.

საგარეო პოლიტიკაში ყველაზე თვალშისაცემი, რა თქმა უნდა, გაეროს გენერალური ასამბლეაა, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა ლიდერი იღებს მონაწილეობას. ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა და ის, თუ რა პრინციპები გახმოვანდა ამ სესიაზე.

ზოგადად საგარეო პოლიტიკას თუ შევხედავთ, ტენდენციები იქ საკმაოდ კარგად გამოიკვეთა წლის დასაწყისში, თვისობრივი სიახლე არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ ყველაფერი, რაც უკვე კარგად დავინყებულნი ძველი გვეგონა, ისევ დატრიალდა მეორე წრეზე. მას მერე, რაც საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ომი გამართა, დღეს კიდევ ვსაუბრობთ ავღანეთიდან მომავალ საფრთხეებზე. მას მერე, რაც თითქოსდა მსოფლიო განთავისუფლდა, ასე ვთქვათ, კოლონიალიზმის სენისგან, ჩვენ კიდევ ვხედავთ კოლონიალიზმის ახალ მცდელობებს რუსეთის მხრიდან ამ შემთხვევაში. მას მერე, რაც გამოცხადდა, რომ გლობალიზაციამ გაიმარჯვა ყველაფერზე, ვხედავთ დეგრადაციის სხვადასხვა მცდელობებს და ის ხალხი, რომელიც წესით და რიგით კარგად და ჯანმრთელად უნდა ცხოვრობდეს ცენტრალურ ევროპაში, ხშირ შემთხვევაში ტერორიზმის მიმდევარიც ხდება ხოლმე.

ამ ტენდენციების გარდა, საყურადღებოა ის, თუ რა მეთოდოლოგიას იყენებს საერთაშორისო თანამეგობრობა ხსენებული პრობლემების გადასაჭრელად. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს მეთოდოლოგია ძირითადად განსხვავებულია და ეს განსხვავებები გამოიხატება ძირითადად იმაში, თუ ვინ არიან მოთამაშეები, ანუ ვინ ახდენს არსებული კომფლიქტების შემცირებას ან მათი გადაჭრის მცდელობას და ა.შ. თუ ადრე, ასე ვთქვათ, რუსეთი — მაშინდელი საბჭოთა კავშირი იყო ის ძირითადი ძალა, რომელიც ავღანეთში შეიჭრა, დღეს არის საკოალიციო ძალები და მათი მიზნები აბსოლუტურად განსხვავებულია. ასევე პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნა ტერორიზმის შედეგად.

მოგეხსენებათ, ტერორიზმი თავისთავად ახალი ფენომენი ნამდვილად არ არის, უბრალოდ მას დღეს სხვა მექანიზმები და საშუალებები აქვს იგივე გლობალიზაციიდან გამომდინარე. დღეს ტერორისტები აქტიურად იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, მაგალითად, როგორცაა ინტერნეტი. აი, ამ საფრთხეების და გამონვევების ფონზე, რალა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის, თუ რა პოლიტიკა გატარდება ჩვენი მხრიდან, მით უმეტეს, რომ გარდა კლასიკური გლობალური საფრთხეებისა, გვაქვს ჩვეულებრივი — მე-19 საუკუნიდან მოყოლებული კოლონიალიზმის პრობლემა

გორც ჩანს, თვითონაც აღარ აწყობთ, მაგრამ სამაგიეროდ და სამწუხაროდ, ამ მეთოდოლოგიამ გადმოინაცვლა ჩვენს რეგიონში, მხედველობაში მაქვს ჩრდილოეთ კავკასია, სადაც საკმაოდ შემამფოთებელი ტენდენციები ამკარად სახეზეა, იმიტომ რომ ეს „ტრადიციული ტერორიზმი“ დღეს იქ საკმაოდ აღმავალ სტადიაშია, რაც ჩვენთვის დამაფიქრებელია. სტატისტიკას რომ გადახედოთ, დაინახავთ, რომ თითქმის ყოველდღე ვილაცას კლავენ. ძირითადად ეს მაინც ძალოვანი უწყების წარმომადგენლებია, რომელთა წინააღმდეგ ხორცილდება მიზანმიმართული ნადირობა. ეს გახლავთ შეტევა კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, ისეთზე, როგორც არის ელექტროსადგური, გადამცემი ხაზები, ნავთობსადენი და სხვა ასეთი სახელმწიფო მნიშვნელობის დანესებულებები. ფაქტია, რომ ამ ეტაპზე რუსეთის ფედერაცია ეფექტურად ვერაფერს უპირისპირებს. მათი მეთოდოლოგია შემოიფარგლება კადროვისნაირი ადამიანების მხარდაჭერით, რომელიც არსებულ რეალობაში ჩემი აზრით, მაინცდამაინც ეფექტური ვერ იქნება ძალიან ბევრი მიზეზის გამო. მან შეიძლება მოიტანოს გარკვეული მყისიერი ეფექტი, მაგრამ დიდხინან პერსპექტივაში ეს ეფექტი პრინციპში წულის ტოლია, ამას დღესაც ვხედავთ. ეს არა მარტო ჩვენი შფოთვის საგანია, რალა თქმა უნდა, რუსეთის შფოთვის საგანიცაა და პრინციპში მთელი მსოფლიოსი, რადგან ტერორიზმი ისეთი მოვლენაა, რომელიც ვერ ჩაეტევა ერთ პატარა ნაწილში და ის აუცილებლად ცუდი ფორმებით გამოსავალს ყოველთვის ჰპოვებს, როგორც წესია. ვხედავთ, რომ ამ ტერორიზმმა უკვე აღმოსავლეთისკენაც გადაინა, მხედველობაში მაქვს ის აფეთქებები, რომლებიც მოხდა ცენტრალურ აზიაში, ანუ თავდასხმა სამხედრო კოლონიაზე, სადაც დაილუპა რამდენიმე ათეული ადამიანი. ასევე მხედველობაში მაქვს კრიმინალური დაჯახებები, რომელიც ნარკოტრაფიკის ხალხსა და პოლიციას თუ ჯარს შორის ხდება ხოლმე. ჩვენ ვხედავთ, რომ შემაკავებელი ფაქტორები და ეს ფაქტორები ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყოს, ისეთი ეფექტური ვეღარ არიან, როგორც ეს ადრე იყო ხოლმე. ამის მიზეზი კი ძირითადად არის ის, რომ სახელმწიფოებრიობა, სადაც არის სუსტი, იქ ყოველთვის ტერორიზმის საფრთხე გაცილებით მაღალია. ჩვენს შემთხვევაში რუსეთი იმის ნაცვლად, რომ გააძლიეროს ჩვენი სახელმწიფოებრიობა, რომელთანაც შესაძლებელი იქნება მოლაპარაკება და ამ ტერორისტული საკითხების შემცირება, პირიქით, ერჩის ჩვენს სახელმწიფოებრიობას. ამიტომ თუ რუსეთს მართლაც უნდა ტერორიზმის პრობლემის გადაწყვეტა, უნდა იზრუნოს და ხელი შეგვიწყოს, რომ ჩვენი სახით მას ჰყავდეს ძლიერი სახელმწიფო და არა ქვეყანა, რომელიც დღეს თუ ხვალ მათი მცდელობით ჩამოინგრევა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის გამოსვლა, რომელიც ჩვენს პრეზიდენტს ჰქონდა გაეროში, მნიშვნელოვანია. ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც მან რეალურად გაუსვა ხაზი მთელ რიგ მნიშვნელოვან ფაქტორებს, კერძოდ კი საქართველო რა პოზიციებზეა, რა სურს ჩვენს სახელმწიფოს და როგორ ხედავს იგი საკუთარსა და რეგიონალურ განვითარებას. ჩვენი მხრიდან ცალსახად იყო ნათქვამი, რომ განვითარება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით შეიძლება მოხდეს და ხაზს გაუსვამდი პრეზიდენტის გამონათქვამს, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, ადრე თუ გვიან რუსეთის ფედერაცია გახდება ჩვენი ნორმალური პარტნიორი, მას მერე, რაც შეიცვლის მიდგომას და დაუბრუნდება ცივილურ მეთოდებს, განსხვავებულს იმ მეთოდებისგან, რომელსაც დღეს იგი იყენებს.

ჩაიწერა ლილია ხომენკო

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



ნ  
ო  
ს  
ს  
ი

თორის პირველი თავი „ბერეშითი“ მთავრდება გამჩენის გადაწყვეტილებით გაანადგუროს სამყარო, რომელიც მან შექმნა, რადგან ხალხის აზრები მხოლოდ ბოროტებისაკენ იყო მიმართული. თავი „ნოახი“ იწოდება იმ ადამიანის სახელით, რომელიც გამჩენმა აირჩია ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად ნარღვნის შემდეგ, რომლითაც მან გაანადგურა სამყარო.

გემარა „სანჰედრინი“ გვეუბნება, რომ ნარღვნის თაობის ადამიანები არღვევდნენ მორალის ყველა შესაძლო პრინციპებს. მაგრამ ზეცაში მათ საბოლოო განაჩენს ხელი მოეწერა იმის გამო, რომ ისინი ძარცვით იყვნენ დაკავებული. მაგალითად, ბაზარში ადამიანი გემოს უსინჯავდა იმ პროდუქტს, რომლის ყიდვასაც არ აპირებდა. და ასე იქცეოდა ყველა, ვინც იქ შედიოდა. ამის შედეგად გამყიდველს არ რჩებოდა არც გასაყიდი პროდუქტი და არც ფული ახალი პროდუქტების შესაძენად. მსხვილ ქურდობასაც ეწეოდნენ, მაგრამ არა ასე ღიად. იციან რა, როგორ არ უყვარს გამჩენს ქურდობა და სხვისი ქონების მიმართ დაუდევრობა, ჩვენი ბრძენები დიდი ყურადღებით იცავენ მცნებას „არ იქურდო“, რათა, გამჩენმა არ ქნას, არ დაარღვიონ ის. მოგვითხრობენ, რომ ერთხელ რაბი მელცერი, კურთხეულია მისი ხსოვნა, ქუჩაში მიდიოდა და ისე იყო ფიქრებში გართული (რა თქმა უნდა, ის იმეორებდა თორაში ნასწავლს), რომ შევიდა იერუსალიმის ერთ-ერთ ეზოში, გაალო კარი და იქიდან ქათამი გამოვარდა. ვისაც არ უნახავს, როგორი შეშინებული გამოედევნა მას რაბი მელცერი, მას არ უნახავს ქურდობისადმი ჭეშმარიტი შიში. რაბი ისე იყო ქათმის პატრონისათვის დაბრუნების სურვილით შეპყრობილი, რომ არ ფიქრობდა არც საკუთარ ღირსებაზე და არც საკუთარ ჯანმრთელობაზე.

ერთხელ ერთ-ერთ იემივაში ერთ სტუმარს საკიდზე დარჩა ხელჯოხი. როცა ის ათი წლის შემდეგ ისევ იმ იემივაში მოხვდა, მისი ხელჯოხი ისევ იქ ეკიდა.

თორა ნოახს უნოდებს წმინდანს, შეურყვენელს, გამჩენთან მავალს. წმინდანს - ქცევებში, შეურყვე-

ნელს - ფიქრებში. ჩვენ დიდ მამა აბრაამზე კი წერია, რომ ის დადიოდა გამჩენის წინ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნოახს სჭირდებოდა გამჩენის ხელშეწყობა იმისათვის, რომ წმინდანად დარჩენილიყო, ხოლო აბრაამს - არ სჭირდებოდა. აბრაამის უპირატესობა ნოახთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ ის ცდილობდა კერპთაყვანისმცემელიც კი გამჩენთან მიეახლოებინა. ის სოდიმის მცხოვრებლებისათვის ლოცულობდა. ნოახი, მიუხედავად წმინდანობისა, მასზე დაბალ დონეზე იდგა.

ამ თავის პირველ წინადადებაში სამჯერაა ნახსენები სახელი ნოახი, მას სამი ვაჟი ჰყავდა - შემი, ხამი და იაფეტი და სამი სამყარო იხილა ნოახმა თავისი ცხოვრების მანძილზე - სამყარო ნარღვნამდე, ნარღვნა და მისი შემდგომი პერიოდი. ნოახის მსგავსად კიდევ ორმა წმინდანმა იხილა სამი სამყარო: დანიელი მოესწრო ტაძარს, მის დანგრევას და აღდგენას და იოვმა იხილა საკუთარი სახლი აშენებული, დანგრეული და ხელახლა აღდგენილი.

მამ ასე, იწყება ნარღვნა, რომელიც სამას სამოცდახუთი დღე გრძელდება. და შევიდა ნოახი და მისი ოჯახი, და ცხოველები კიდობანში „ნარღვნის წყლისაგან“. გასაგებია, რომ თორაში არც ერთი სიტყვა არაა ზედმეტი და ზოგიერთი კანონი მხოლოდ მინიშნებითაა ნახსენები. მამ, რატომ უსვამს ხაზს თორა, რომ შევიდნენ ისინი კიდობანში „ნარღვნის წყლებისაგან“. გასაგებია, რომ სხვა მიზეზი კიდობანში, რომელსაც ნოახი ას ოცი წლის განმავლობაში აშენებდა, შესვლისა არ არსებობს. რაში, თორის უდიდესი კომენტატორი გვეუბნება: „ნოახი არცთუ ისე დიდი მორწმუნე იყო, სანამ წყალმა მის მუხლებამდე არ მიაღწია, კიდობანში არ შევიდა.“

ვისხნის ხასიდათა ერთ-ერთი რაბინი რაბი იცხაკ აიზიკი, რომ ჩვენ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ნოახი ნაკლებად მორწმუნე იყო. თორა ხომ მასზე წერს - ნოახი წმინდანი და შეურყვენელია. მაგრამ, იცოდება რა, რომ გამჩენი უდიდესი მონყალეა, ბოლო წუთამდე არ სჯეროდა, რომ ნარღვნი გაანადგურებდა ყველაფერს, რაც თავადვე შექმნა. ამიტომაც არ შედიოდა კიდობანში, მანამ სანამ ნარღვნის წყალმა არ აიძულა ამის გაკეთება.

იმის მიუხედავად, რომ თორის პირველ ნიგში „ბერეშითი“ არაა მისი კანონები, ის მოგვითხრობს სამყაროს შექმნაზე და ადამიანთა შესახებ - ადამზე, ნოახზე, აბრაამზე, იცხაკზე, იაკობზე, და მის თორმეტ ვაჟზე ეგვიპტეში შესვლამდე. ამ ცხოვრებაში მრავალი რამაა, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ამ სამყაროში, ის სწავლობს ჩვენი დიდი მამების მოქმედებიდან გამომდინარე ან იმ მინიშნებებიდან, რაც ჩანს და რასაც გვიჩვენებენ ჩვენი ბრძენები.

ნოახთან კიდობანში მოვიდნენ წმინდა და „არა წმინდა“ ცხოველები. თორა სპეციალურად არ წერს სიტყვას „ტარეფა“, რათა ზედმეტად არ იხმაროს უარყოფითი კონტექსტის მქონე სიტყვები. ასევე ჩვენც, არა მარტო უნდა შევიკავოთ თავი უწმინდური სიტყვების წარმოთქმისაგან, არამედ, სადაც შესაძლებელია, წარმოვსთქვათ დადებითი სიტყვა უარყოფითის ნაცვლად. მაგალითად, სჯობს ვთქვათ „არაქაშერი“, ვიდრე „ტარეფა“, „არაა სუფთა“, ვიდრე „ჭუჭყიანი“, ან „არაა სიმართლე“, ვიდრე „ტყუილია“.

თორა მოგვითხრობს, რომ კიდობანში შედიან ნოახი, შემი, ხამი, იაფეტი, ნოახის მეუღლე და მათი შვილების სამი მეუღლე. კიდობანიდან გამოს-

ვლისას ჩამოთვლილთა თანმიმდევრობა უკვე სხვანაირია - ნოახი, მისი მეუღლე, შვილები და მათი მეუღლეები.

გასაგებია, რომ თორა არ შეგვატყობინებდა, თუ როგორ შევიდნენ და გამოვიდნენ კიდობანიდან ისინი. ეს არც ისე მნიშვნელოვანია. ამ თანმიმდევრობით თორა გვატყობინებს, რომ მიცვის „განაყოფიერდით და გამრავლდით“ შესრულება კიდობანში მათ აკრძალული ჰქონდათ იმის გამო, რომ არ შეეფერებოდათ სამყაროს განადგურების პერიოდში. კიდობანიდან გამოსვლისას კი უკვე შეეძლოთ ამ მიცვის შესრულება. ამასთან თორა ამის შესახებ მხოლოდ მიგვანიშნებს, რაც იმას გვასწავლის, რომ არსებობს ისეთი რამ, რაზეც ხმამაღლა არ საუბრობენ. ემარა წერს, რომ ყველამ იცის, თუ სად და რისთვის მიდიან სიძე და პატარძალი, მაგრამ ვინც ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობს, ის არამზადაა. თორიდან ჩვენ ვსწავლობთ არა მარტო კანონებს, არამედ ცხოვრებისეულ სიბრძნეს და სულსაც ხვეწს.

როცა ნარღვნის შემდეგ ნოახი კიდობანიდან გამოვიდა განადგურებული სამყარო დაინახა. მან გამჩენს მსხვერპლი შესწირა, გამჩენი კი მას დაპირდა, რომ აღარასოდეს მოუვლენდა ქვეყნიერებას ნარღვნას და ამის ნიშნად ცაზე ცისარტყელა გამოჩნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალხი ისევ სცოდავს და ნარღვნა ისევ შეიძლებოდა განმეორებულიყო. მაგრამ გამჩენი ასრულებს თავის დანაპირებს, არ გაანადგუროს სამყარო.

და მოაშენა ნოახმა ვენახი. მიდრამის თანახმად ყურძენი იმავე დღეს დამნიფდა, ნოახმა ღვინოც დაწურა, დალია და დათვრა. ყველაფერი ეს ერთ დღეში მოხდა. გამოდის, როცა ადამიანი რაიმეს ისე არ აკეთებს, როგორც საჭიროა, მაინც ღებულობს ზეციურ დახმარებას. ნოახის ვენახში ხომ ამკარა სასწაული მოხდა.

დიახ, ჩვენი ბრძენები ამბობენ, რომ თუ ადამიანს განწმენდა სურს, მას ზეციდან ეხმარებიან და თუ ის შებილწვას მოისურვებს, ასეთ შესაძლებლობასაც გზას უხსნიან.

ადამიანის რაიმე საქმეში წარმატება სრულეებითაც არ ამტკიცებს იმას, რომ მისი ცხოვრების გზა გამჩენისათვის მისაღებია. ნოახის ყურძნის მაგალითი ამის კარგი ილუსტრაციაა. რა თქმა უნდა, ახალი სამყაროს შენებისას ნოახი სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით უნდა დაკავებულიყო. ყველაფერზე, რის კეთებასაც ის დაიწყებდა, გამჩენისაგან უდიდესი კურთხევა მიუვიდოდა. ყველა უბედურების შემდეგ ყოველთვის ასე ხდება. რა დიდი შანსი ჰქონდათ ებრაელებს მეოცე საუკუნეში შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო, რათა მილიონობით ადამიანი დაბრუნებოდა ისტორიულ მიწას? გასაგებია, რომ ძალზე უმნიშვნელო. ქვეყანათა უმრავლესობამ, არაბების კოლოსალური წნეხის მიუხედავად მხარი დაუჭირა ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. გასაგებია, რომ ეს ყველაფერი გამჩენის პირდაპირი ჩარევის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ჩვენი წმინდა თორა ჩვენს ხალხს პირდება მრავალ სულიერ და მატერიალურ კურთხევას. და რა მოგვეთხოვება ჩვენ? ჩვენ უნდა მივილოთ ისინი. იმისათვის რომ ეს შევძლოთ, უნდა ვიაროთ მისი გზით, ვაკეთოთ სიკეთე, ვიყოთ თავმდაბლები, გულმონყალენი, გვიყვარდეს ადამიანები, დავიცვათ მცნებები და გვეშინოდეს და გვიყვარდეს გამჩენი. მოდით, შევეცადოთ ძალიან.

# ებრაული სატელეგრაფო სააგენტო გვატყობინებს: იერუსალიმის გაყოფა?

სამშვიდობო შეთანხმების ფარგლებში ისრაელი იერუსალიმზე კონტროლის გაყოფას დათანხმდება განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა ისრაელის გაზეთთან საუბრისას.

როგორც ბარაკმა გაზეთ „ჰარეცს“ უამბო, სავარაუდო სცენარი ისრაელის მიერ დასავლეთ იერუსალიმისა და 12 ებრაული უბნის 200.000 მოსახლით დაქვემდებარებას ითვალისწინებს, მაშინ როდესაც არაბული უბნები 250.000 მოსახლით პალესტინის სახელმწიფოს დედაქალაქს ქმნიან. „განსაკუთრებული რეჟიმი“ იქნება ძველ და მთაზე, ასევე დავითის ქალაქში, — თქვა მან.

ბარაკმა გაზეთს ასევე სამშვიდობო შეთანხმების სხვა პრინციპებიც ჩამოუთვალა, რომლებიც მისი აზრით, ორივე მხარის მიერ იქნება მიღებული: „ორი სახელმწიფო ორი ერთსთვის; საზღვრების დადგენა ისრაელის მიწაზე, რომლის ცენტრშიც მრავალი თაობით ძლიერი ებრაული უმრავლესობა დამკვიდრდება, ამავდროულად სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული გაგებით, ლტოლვილთა პრობლემების გადაჭრა, რომელიც ითვალისწინებს პალესტინის სახელმწიფოში ლტოლვილთა დაბრუნებასა და საერთაშორისო დახმარების მიღებას; თავდაცვის ყოველმხრივი უზრუნველყოფა და

იერუსალიმის პრობლემის გადაჭრა“.

ამ სტატიიდან გამომდინარე, ბარაკი საკმაოდ ოპტიმისტურია ამ მხრივ სამშვიდობო მოლაპარაკებების შანსებთან მიმართებაში.

„თუ პროცესს პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰ უხელმძღვანელებს, მემარჯვენე მინისტრთა მნიშვნელოვანი ნაწილი მის მხარეს დაიჭერს, — განაცხადა თავდაცვის უწყების მეთაურმა — ასე რომ აუცილებელია მხოლოდ სიმამაცე იმისთვის, რათა მიიღო ისტორიული, რთული გადაწყვეტილება. მე არ ვამბობ, რომ დარწმუნებული ვარ წარმატებაში, თუმცა, შანსი არსებობს და ეს შანსი მთლიანად უნდა იყოს გამოყენებული.“

# თანაპედროვე აბრაული პოეზიის კიდევ ერთი თარგმანი

28 სექტემბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გამოჩენილი თანამედროვე ისრაელი პოეტის ორციონ ბართანას ლექსების წიგნის — „საიდუმლო ნიშანი“ თარგმანის პრეზენტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ორციონ ბართანა არა მარტო მწერალია, არამედ სახელგანთქმული მეცნიერიც, ჟურნალ „ებრაული მემკვიდრეობის“ რედაქტორი, ისრაელის რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი, რიგი ეროვნული და საერთაშორისო პრიზის მფლობელი.

ლექსები ივრითიდან ბნკარედების დახმარებით თარგმნა ცნობილმა პოეტმა და მეცნიერმა, ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სპიკერმა ომარ გვეტაძემ.

საინტერესოა, რომ გასულ წელს უკვე გამოვიდა ამ წიგნის ნაწილის თარგმანი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად და არსებითად მისი პრეზენტაციის დროიდანვე გახდა ხელმეწიფომელი. ამიტომ საქართველოში ისრაელის საელჩომ, ელჩის — დოქტორ იცხაკ გერბერგის ინიციატივით გადნყვიტა გამოცემულიყო უფრო ვრცელი თარგმანი აღნიშნული წიგნისა, რისთვისაც მას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის.

წიგნს უძღვის საქართველო-ისრაელის

საზოგადოების იმერეთის რეგიონის განყოფილების ხელმძღვანელის, ჟურნალ „ნოსტალგიის“ რედაქტორის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა და ქართველ ებრაელ მწერალთა შემოქმედების თაობაზე რიგი შესანიშნავი წიგნისა და გამოკვლევის ავტორის პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის წინასიტყვაობა.

წიგნის პრეზენტაციაში მონაწილეობის მისაღებად ისრაელიდან ქუთაისში ჩამოვიდნენ პროფ. ორციონ ბართანა და თარგმანის კონსულტანტი პროფ. რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი).

ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე შეხვედრა გახსნა ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა პროფ. გ. ლავთაძემ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ მრავალწილიან მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც არიელის (ისრაელი) და ქუთაისის უნივერსიტეტებს შორის არსებობს და რასაც შედეგად მოჰყვა ამ ორ სასწავლო დაწესებულებას შორის ფართო თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერა. ამ შეთანხმების ფარგლებში უკვე მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივ პროექტზე, რომელიც ისრაელის ქართველენოვანი ლიტერატურის კვლევას ისახავს მიზნად და რისთვისაც არიელის უნივერსიტეტმა გამო-


ყო მნიშვნელოვანი თანხა, და ამას ქუთაისის უნივერსიტეტიც შეუერთდა.

სიტყვით გამოვიდნენ პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ ისრაელი სტუმრები, პროფ. რეუვენ ენოხი, რომელმაც სთხოვა სტუდენტ ახალგაზრდობას, გაუფრთხილდნენ ქართველ ებრაელთა მემკვიდრეობას, რომელიც კვლავაც ასე ცოცხლად არის შემონახული ქუთაისში, პროფ. გ. ონიანი და ჟურნალისტი ა. შენგელია.

განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ დამსწრენი თვით ლექსებს. მთარგმნელმა პროფ. ო. გვეტაძემ მსმენელთ უამბო, როგორ მუშაობდა თარგმანზე, იმ ინტერესსა და სიამოვნებაზე, რომელსაც პროფ. ბართანას მაღალი რანგის პოეზიის თარგმნა ანიჭებდა. შემდეგ პოეტმა და მთარგმნელმა წაიკითხეს ლექსები და მათი თარგმანები. დარბაზში შეკრებილნი დიდხანს არ უშვებდნენ მათ სცენიდან.

დასასრულს შეკრების მონაწილეებმა საჩუქრად მიიღეს ახალი წიგნი, მაგრამ რაოდენობა ვერ გასწვდა ყველა დამსწრეს და როგორც იტყვიან, წიგნები კვლავაც ისე გაქრა, რომ ვერ მიაღწია მაღაზიების დახლებამდე.

გვიმრავლოს!



მსახიობმა და რეჟისორმა, ისრაელში ქართული თეატრალური ცხოვრების ამგდარმა დავით ხუბელაშვილმა ერთობ კეთილშობილური სამსახური გაუწია ქართველ ებრაელობას — დაასრულა და გამოსცა წიგნი, რომელსაც წლების განმავლობაში ამზადებდა — წერდა, აგროვებდა მასალებს, იქნებოდა იგი ფოტო თუ წერილობითი. აღსანიშნავია წიგნის რედაქტორის რ. ენოხის დიდი შრომა მისი დახვეწის საქმეში.

დავით ხუბელაშვილის წიგნი ნამდვილი შენაძენია ქართველი ებრაელობისთვის, რადგან იგი ფაქტობრივად არის დოკუმენტური აღწერა იმისა, თუ რა უკეთებია ქართველ ებრაელობას კულტურის სფეროში — განსაკუთრებით თეატრში. დ. ხუბელაშვილი, როგორც პატიოსანი მემკვიდრე, ცდილობს სავედ წარმოაჩინოს ყოველი თეატრალური მოღვაწე, ფაქტი. ისრაელის ქართველენოვანი თეატრი საქართველოდან წასულთა ქართული თეატრის სიყვარულის, გავლენის გამოხატულებაა. დ. ხუბელაშვილის წიგნი ქართველი თეატრის ისტორიკოსს აძლევს საშუალებას გაანალიზოს ქართული თეატრის „ისრაელის ფრთის“ მოღვაწეობა.

სოსო აჯიაშვილი მწუხარებით იუნყება, რომ ისრაელში გარდაიცვალა <b>დავით აჯიაშვილი</b> და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
მაია და სოსო ბარდანაშვილები იუნყებიან <b>დავით აჯიაშვილის</b> გარდაცვალებასა და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
ინგა, რეუვენ ენოხები (ენუქაშვილები) გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას <b>დავით აჯიაშვილის</b> გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
ციალა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები მწუხარებით იუნყებიან ისრაელში სამამულო ომის მონაწილის <b>დავით აჯიაშვილის</b> გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის შვილებს.

## სუჯუნის აბრაელობის თაობაზე

გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა ჟურნალისტ ლეილა ნოდისა წიგნი „სუჯუნა და სუჯუნის ებრაელები“. წიგნი გვამცნობს საქართველოს ამ ერთ უმშვენიერესი დაბის საზოგადოებრივ ყოფას, მის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახეს და გვიამბობს სუჯუნის ებრაელთა ყოფაზე, წიგნში გამოიკვეთება სუჯუნის ღირსეული მოამაგის ილიკო ეფრემავილის ფიგურა, რომელიც დაბის თვალი გახლდათ, რადგან გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ცდილობდა მის გამოყვანას დიდ გზა-

ზე. აღსანიშნავია, რომ წიგნში მკაფიოდ გახლავთ გამოკვეთილი ამ ქართველი ებრაელის საქმის კაცის, მოამაგე პიროვნების ფიგურა, გვსურს გამოვყოთ ქ-ნ ლეილა ნოდისა მიერ ამ წიგნში შეტანილი ბესო მიხელაშვილის ნარკვევი სუჯუნაზე. ადრე ჟურნალ „დროშაში“, შემდეგ გაზეთ „მენორაში“ დაბეჭდილი ბესო მიხელაშვილის მოგონებები, ნარკვევები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქართველი ებრაელობის საინტერესო ცხოვრებას ქართულ მიწაზე.